# ბუსუსუნა ბუს ამბავი

ერთი გამხმარი ხის დიდ ფუღუროში ყველაზე პატარა, ჭრელი და საყვარელი ბუ ცხოვრობდა, სახელად ბუსუსუნა, ეს სახელი
იმიტომ დაარქვეს, რომ თხელი და ბუსუსა ბუმბული ჰქონდა. შვილები ძალიან ჰგავდნენ დედას, მოფერებით ბუსუსუნ პატარებსაც ეძახდნენ . ბუსუსუნა სიყვარულით ზრუნავდა თითოეულზე , არაფერს აკლებდა მათ .
ერთხელაც ბუსუსუნა ბუმ აღმოაჩინა, რომ ღლაპებს ჯადოსნური სიტყვები მანამ დავიწყებოდათ, სანამ გამოიყენებდნენ ცხოვრებაში და თითოეულის საოცარ ძალას იგრძნობდნენ. რა უნდა ექნა აღარ იცოდა, იფიქრა , იფიქრა და დახმარება კაჭკაჭს სთოვა,მაგრამ მან მე ვერ დაგეხმარებიო. შემდეგ ჭიკჭიკა მერცხალს მიაკითხა , თუმცა მანაც ვერ აღმოუჩინა დახმარება, ბოლოს ქლურტულა ბელურას მიაკითხა, მან ბოდიში მოუხადა, მე ვერ დაგეხმარები ,მაგრამ მეგობრულად გირჩევ დახმარება ღუღუნა მტრედებს სთხოვეო.
ჭრელი ბუ დიდხანს ფიქრობდა მტრედებიც ,რომ არ დამეხმარონ რა უნდა ვქნაო?! მერე უცებ საკუთარ თავზე გაბრაზდა: _არ მეკადრება ცუდზე ფიქრი, ვერანაირი დაბრკოლება ვერ შემაცვლევინებს ასეთ მნიშვნელოვან განზრახვას, ამიტომ ღლაპები მიაძინა და იმედიანად გაუდგა გზას.
უცებ მდინარის პირას აჩოჩქოლებული ფრინველების ხმა შემოესმა და ახლოს მივიდა თუ არა ნახა ფრთოსნები როგორ ცდილობდნენ პატარა გაწუწული თეთრი მტრედის ხუნდის მოსულიერებას. ბუსუსუნას ბევრი არც უფიქრია დახმარების გაწევაზე და რამდენიმე წამში გონს მოიყვანა კიდეც პაწაწინა ხუნდი. გახარებული მტედები გულში დიდხანს იკრავდნენ ნაშიერს, შემდეგ კი ბუსკენ გაემართნენ, თავი დაუკრეს, მადლობა გადაუხადეს დახმარებისთვის და
ჰკითხეს:_ კეთილო ბუ, მითხარი რით შეგვიძლია სიკეთე გადაგიხადოთო? რა სიმდიდრეც გაგვაჩნია ყველაფერი შეგვიძლია დაგითმოთ
– არა , გმადლობ ,მე სიმდიდრეს არ ვეძებ.
– მაშ რით შევძლო?
– რით და გეტყვით ახლავე,
ჩემს პატარებს ნასწავლი ჯადოსნური სიტყვები ისე დაავიწყდათ,რომ მისი წარმოთქმით შეძენილი საოცარი ძალა ვერც კი შეიგრძნეს , იქნებ მადლი ქნათ და როგორმე გაახსენოთ.
–ეს ჩვენთვის პრობლემა არ არის, მადლობა,რომ სიკეთის გადახდის საშუალებას გვაძლევ. ჩვენ დღეიდან შევუდგებით საქმეს !
–დიდი მადლობა!_ უთხრა მადლიერებით აღსავსე ბუმ და გაბადრული სახით დაბრუნდა ფუღუროში.

ამ ამბის შემდეგ ხშირად აფრიალებდნენ გზავნილებს მტრედები და დიდი თუ პატარა გონებაში იწერდა, შემდეგ კი ცხოვრებაში იყენებდა ამ ჯადოსნურ სიტყვებსა თუ ფრაზებს:

1. სიტყვას უდიდესი ძალა აქვს და გავუთბოთ გული ერთმანეთს!
2. ჯადოსნური სიტყვები არასოდეს დაივიწყოთ!

- გვიყვარდეს ერთმანეთი!
- გმადლობ,
- უკაცრავად,
- ნახვამდის,
- თუ შეიძლება,
- გეთაყვა,
- გამარჯობა,
- დილა მშვიდობისა,
- ბოდიში,
- მე მჯერა შენი,
- მიყვარხარ,
- მაპატიე